*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
**სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ლევან ღურწკაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**

პაშა გულორდავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 219634769 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ტყიბულის მუნიციპალიტეტი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქ ტყიბული, სოფელი ხრესილი |
| საფოსტო ინდექსი | 4300 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | ვებ-გვერდი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | khresili@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 555169631 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 3 25 0000512229, 13/05/2025 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2025 წლის 09 და 10 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | ქალაქ ტყიბული, სოფელი ხრესილი, ერთი ორსართულიანი შენობა |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | ქალაქ ტყიბული, სოფელი ხრესილი, ერთი ორსართულიანი შენობა |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | ქალაქ ტყიბული, სოფელი ხრესილი, ერთი ორსართულიანი შენობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

სკოლა არის სრულად რეაბილიტირებული, მცირეკონტიგენტიანი. დაწესებულებაში იგრძნობა თანამშრომლობითი კულტურა. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, (Microsoft Teams) გამოყენებით. შეფასების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე, შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და

დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების არსებული მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტის პერიოდში სკოლის ყველა წარმომადგენელმა გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქართველოს სტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ხრესილის ბრძოლა /ომი, მეორე დიდგორად მიჩნეული, რომელიც სოლომონ პირველის ხელმძღვანლობით ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა 1757 წლის 14 დეკემბერს და სოფელი ყველა ქართველისათვის საპატიო ადგილად აქცია.

სკოლის დირექციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა გადაწყვიტა ამ დღეს განსაკუთრებული ადგილი დაეჭირა სკოლის მრავალფეროვან ღონისძიებათა შორის და 1997 წლის 14 დეკემბარს პირველად დიდი და გრანდიუზული ღონისძიება მიეძღვნა ამ გამარჯვებას.

ამ დღიდან მოყოლებული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით, აღნიშნული ღუნისძიება აღინიშნება საქალაქო და ეხლა უკვე რეგიონულ დონეზე.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 150 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N 3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის | სკოლამ მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.<br><br>(8.07.2025- დან 10.12.2025-.მდე პერიოდში) |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); | |
| *ინდიკატორი 3.5.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლამ მოიპოვოს განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი<br><br>(19.05.2025- დან 19.05.2026-მდე პერიოდში) |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>*საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი* 2.2.2.3. | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** |

| | | |
|---|---|---|
| | მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლამ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად (4.09.2025- დან 30.04.2026-მდე პერიოდში) |
| | | |
| | | |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი* 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, | **სასურველია** სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც განახორციელებს სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. |

| | | |
|---|---|---|
| | უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); | |
| *ინდიკატორი N 3.5.1.3.* | სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით | **სასურველია** სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით, სასკოლო და მხატვრული ლიტერატურით |
| *ინდიკატორი 3..5.1.4* | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | **სასურველია** სკოლამ სათანადოდ აღჭურვოს რესურს ოთახი |
| | | |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| | დაწყებთი, საბაზო და საშუალო | |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br>***რჩევა:*** *სასურველია ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა* |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | სპორტი<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | ზოგადი განათლების **დაწყებითი საფეხური**<br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებს დაამატონ მეტი ისეთი შემოქმედებითი დავალება და რესურსი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს სიღრმისეულად გააანალიზონ საგნობრივი საკითხები, მიიღონ ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილების გზით. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | საზოგადოებრივი მეცნიერებები<br>**რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.2.** | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კმაყოფილებას. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, სრულ | **რჩევა** -უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ყველა თემის ფარგლებში ურთიერთდაკავშირებულად დამუშავდეს ყველა სასწავლო მიზანი (საფეხურის შედეგი და სამიზნე ცნება). |

| | | |
|---|---|---|
| | კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. | |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | საზოგადოებრივი მეცნიერებები<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმში დამატებითი რესურსები გახდეს უფრო მეტად მრავალფეროვანი. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | მათემატიკა<br><br>**რჩევა:** სასურველი იქნება ასევე, რომ გათვალისწინებული იქნას ისეთი რესურსები რომელიც უფრო დიფერენცირებულს გახდის სასწავლო პროცესს. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ** | **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების კურიკულუმში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები. |

| | | |
|---|---|---|
| | **კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | სპორტი<br><br>**რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ყველა კურიკულუმში დაემატოს გრიფირებული სახელმძღვანელოები. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებს დაემატოს მეტი თამაშის რესურსი. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | ესთეტიკური აღზრდა<br><br>**რჩევა:** სასურველია საგან მუსიკაში მოხდეს ინდ. გეგმებში მრავალფეროვანი რესურსების დამატება. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | მათემატიკა<br><br>**რჩევა:** სასურველი იქნება სკოლაში ტესტები შემუშავდეს იმდაგვარად რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა მაქსიმალურად მოხდეს. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური |

| | | |
|---|---|---|
| | | **რჩევა:** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს დიაგნოსტიკური შეფასებების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების რეგულარულ გამოყენებას. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.5.** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br><br>***რჩევა:*** *სასურველია დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ.* |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.5.** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | საზოგადოებრივი მეცნიერებები<br><br>**რჩევა:** მნიშვნელოვანია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად დაიხვეწოს განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით. |
| *ინდიკატორი N* **2.1.2.5.** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე კათედრამ შეფასების რუბრიკები დაამუშაოს იმდაგვარად, რომ მასში ჩანდეს ცნებების ინდიკატორების მნიშვნელობა. |
| *ინდიკატორი N* **2.2.1.3.** | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br><br>***რჩევა:*** *სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების მინიმალური ზღვარი.* |
| *ინდიკატორი* 2.2.2.1. | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **რჩევა:** სასურველი იქნება რესურსების მრავარფეროვნებას მიექცეს ყურადღება. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* 2.2.2.2. | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br>***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.* |
| *ინდიკატორი N* 2.2.2.2. | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | სახელმწიფო ენა<br>**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად. |
| *ინდიკატორი N* 2.4.1.1. | **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი** | **რჩევა:** სასურველია, საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რათა განისაზღვრონ, რა მიმართულებით უნდა მოხდეს კურიკულუმის დახვეწა. იგი უნდა მოიცავდეს სწავლების პრაქტიკის, შეფასების შედეგების, მასწავლებელთა პროფესიული შეფასებების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და ინტერესების გაანალიზებას. რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს შინაარსობრივ ცვლილებებს, სტანდარტების გააზრებას, მიზნებისა და შედეგების დაზუსტებას. რის შედეგადაც მიიღება გონივრული, მრავალმხრივ გააზრებული წინადადებები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 10/07/2025 წარმოადგინა კორესპონდენცია (რეგისტრაციის N MES 3 25 0000849442), რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. კერძოდ

სკოლას შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რაც დასტურდება 2025 წლის N1/კ-16 ბრძანებით და 2025 წლის 17 ივნისის N 01852477 წერილით.
სკოლამ სამინისტროს მიმართა ქონების რეგისტრაციის შესახებ 2025 წლის 19 მაისი N 539159 წერილით, მაგრამ ქონების რეგისტრაციის ნებართვა არ გაცა, რადგან რეაბილიტაციის ფარგლებში სამინისტროს ნებართვის გარეშე, მუნიციპალური განვითარების ფონდის კონტრაქტორმა კომპანიამ უნებართვოთ დაანგრია ამორტიზირებული, სადემონტაჟო ქონების ნუსხაში განთავსებული, საქვაბე მოწყობილობა და მასწავლებელთა სახლი.

სკოლამ 2025 წლის 11 ივნისს N 650525 განმეორებითი წერილით მიმართ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შემოწმებისათვის. მიმდინარებს შესაბამისი პროცედურები შემოწმების, რის შედეგადაც 2 თვის ვადაში ექნებათ სახნძრო უსაფრთხოების შესაბამისი დასკვნა.

სკოლას 2016 წლის 27 ოქტომბრის N 02-29 ბრძანებით დამტკიცებული აქვს რეფერირების წესი.
*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში და ვებ გვერდზე გაწერილ სკოლის მისია და ხედვა, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში ვკითხულოთ, რომ მოსწავლეს შეუქმნას გონებრივი, ფიზიკური, აკადემიური განვითარებისათვის უსაფრთხო, პოზიტიური გარემო. ხელი შეუწყოს აქტიური მოქალაქის ფორმირებას, რომელიც შეძლებს ცოდნის გამოყენებას საკუთარი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას თავის მისიაში გაცხადებული აქვს, შეუქმნას მოსწავლეებს გონებრივი, ფიზიკური, აკადემიური განვითარებისათვის უსაფრთხო და პოზიტიური გარემო. ხელი შეუწყოს ეროვნულ ნიადაგზე აქტიური მოქალაქის ფორმირებას, რომელიც შეძლებს ცოდნის გამოყენებას საკუთარი, კულტრურული მემკვიდრეობის დაცვას, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის.

სკოლა სხვადასხვა აქტივობებით (ხრესელობა) ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენას, პიროვნულ განვითარებას, მშობელთა ჩართულობას, მოსწავლეებში გუნდურობის, თანამშრომლობის, კვლევის, კრიტიკული-შემოქმედებითი აზროვნების უნარების, მოქალაქეობრივი ცნობიერების და ეროვნული ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს ქმნის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცეს

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე წარმოადგინა 13.03.2025 წლის N1/კ-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგიის შემუშავების ჯგუფი.

სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების დროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ოქმები (მოსწავლე, მშობელი, თანამშრომელი) სადაც განიხილეს სკოლის ფილოსოფიის ყველა ასპექტი. აღნიშნული შეხვედრებით დაწესებულებას მიეცა საშუალება შეემუშავებინა სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებთ.

სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებები რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, რომელიც თავისი შემადგენლობით წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ნდობით აღჭურვილი წევრისგან. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ მოიცავს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებს. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური აქტით განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული პირები-სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა სხდომის ოქმი აღწერს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებზე მსჯელობისა და სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესებს. აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გათავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. მეტი ხელმისაწვდომობისათვის გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ეს დოკუმენტი გაზიარებულია სოციალურ გვერდზე.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის ხრესელი საჯარო სკოლა და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას და შესაბამისია ინდიკატორთან.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის 13.03.2025 წლის N1/კ-04 ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სკოლის ვებ-გვერდი.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის ხუთ ეტაპიანი პროცესი, რომელშიც ჩართული მხარეებია: სკოლის დირექცია; სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი); თემი. ყველა ეტაპზე - დაგეგმვიდან დაწყებული მონიტორინგითა და ანგარიშების წარდგენით დასრულებული განსაზღვრულია სკოლის ბაზაზე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ხუთივე ეტაპის ეფექტურ მართვასა და ანგარიშგებას.

დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

სასკოლო პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისიწინების პროცესებს დაწესებულება აღწერს მეთოდოლოგიაში. მაგალითად, ინფორმაციის შეგროვებით სხვადასახვა მეთოდებით: დაგეგმვის ჯგუფის მიერ დამტკიცებული გეგმის და ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობების შესაბამისად, ხდება დაინტერესებულ პირთა (სამიზნე ჯგუფები, ფოკუს ჯგუფები) გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად ზუსტდება მათი მოლოდინები სკოლის მიმართ, ხოლო სამეურვეო საბჭო თავისი შემადგენლობით, როგორც სასკოლო საზოგადოების ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანო ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ ნაწილში სტრატეგიული გეგმის დამტკიცებით. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზურუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვლისიწინებას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში წარმოდგენილია 2024-2031 წლებში მისაღწევი 7 სტრატეგიული მიზანი, თითოეული სტრატეგიული მიზანი ჩაშლილია შესაბამის ამოცანებად, თავის მხრივ ამოცანები ჩაშილია აქტივობებად, **მაგალითად:**

**სტრატეგიული მიზანი:**

1. მასწავლებელ თა უწყვეტი პროფესიული განვითარების საფუძველზე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება;

**ამოცანები:**

1. მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება;

2. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება.

**აქტივობები:**

1. ტრენინგი-სასკოლო კურსი, რომლის მიზანიც არის მასწავლებლების ცოდნის და უნარების განვითარება სწავლისა და სწავლების კონკრეტული მიმართულებით;

2. გაკვეთილზე დასწრება- სკოლის დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ საგაკვეთილო პრაქტიკის მონიტორინგი და განმავითარებელი კომენტარი.

თითოეული მიმართულებაში ამოცანა მის საჭიროებას, დანერგვის, მართვისა და გამოწვევებზე საპასუხო პროცესებზე (აქტივობებზე) გადის. აღნიშნული მიმართულებები და მასში შემავალი ამოცანები ეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზს, რომელშიც დეტალურადაა განხილული სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები. სკოლა ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს შესაძლებლობები.
**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, მასში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მიმართულებები, ხოლო მიმართულებებში კი ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სამოქმედო გეგმაში ვხვდებით ისეთ პუნქტებს, რომელიც დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, სკოლის დირექციასთან და კათედრის ხელმძღვანელებთან ინტერვიურებით ჩანდა, მათი თვითშეფასების პროცესში აღმოჩენილ გამოწვევებზე დაფიქრება, რომელზეც სკოლა გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს/განავითაროს სხვადასხვა მიმართულებები. სკოლის სამოქმედო გეგმა პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული **აქტივობები** შესაბამისია სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმის მიზნებთან, ხოლო მიზნების მისაღწევად გაწერილი ამოცანები შესაბამისი აქტივობებით რეალისტურია. სკოლის სამოქმედო გეგმაში აქტივობების პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე სკოლის მართვაში ჩართული პირები. აქტივობების შესრულება რეალისტურ ვადებშია გაწერილი, პასუხისმგებელი პირები თუ სტრუქტურული ერთეულები შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებასთან.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისისი ხედვის სამუშაო ჯგუფის შექმნა დანართი;
- ხედვის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ბრძანება 02-19 მისის ხედვის მეთოდოლოგის შემუშავება;
- სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი;

- ბრძანება 02-15 სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის ადმინისტრაცია. მონიტორინგისთვის ასევე გამოიყენება ანგარიშგების მექანიზმი. სკოლა სასკოლო საზოგადოებას პროცესს შემდგენაირად სთავაზობს: სტრატეგიული გეგმის დამტკიცებისთანავე სკოლის დირექტორი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დირექტორის მიერ განსაზღვრული ჯგუფი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული რევიზიის შედეგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისათვის. მონიტორინგის შედეგები იდება **სკოლის ვებ-გვერდზე.** თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა ან არ შესრულდა.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითრებისათვის, მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისათვის. შესრულების შედეგები მიმართული იქნება: სწავლა/სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვა განვითარება, ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია;
- მისის ხედვის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა;
- სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგის მონიტორინგი;
- სამეურვეოს ოქმიN5 2024-25 სასწ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექტორი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მჩეველთა საბჭო. სკოლას ემსახურება: საქმის მწარმოებელი, სპეციალური პედაგოგი, ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი, ბიბლიოთეკარი, კათედრის ხელმძღვანელები. სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიგრამა, რომელიც ასახავს ორგანიზაციის შემადგენლობას, იერარქიის განსხვავებულ დონეებს, სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთმიმართებებს.

სკოლას **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში** გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულებისა თუ პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. **სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა იციან მათი უფლება მოვალეობები**, რომელიც გაწერილია დებულებებში და ემსახურება საგანმანათლებლო საქამიანობას. მაგალითად, საგნობრივი კათედრები იკრიბებიან სასწავლო წლის დასაწყისში და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეიმუშავებენ წლიურ სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც მუშაობენ სასწავლო წლის განმავლობაში. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის არსებობა სკოლას აკადემიური მიმართულებით გააუმჯობესებს.

სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციით ჩანს რომ პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო ცხოვრებას აქცევს მოსწავლეზე ორიენტირებულს, ხელს უწყობს საგანანათლებლო საქმიანობის სწორად განხორციელებას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ბრძანება 02-07თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნის დამტკიცების 2025-09-06 ბრძანება N 02-37 ;
- შინაგანაწესი;
- სამეურვეოს ოქმიN5 შინაგანაწესის დამტკიცების;
- ადამინური რესურსების მართვა;
- ბრძანება 02-16 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხელშეკრულებები;
- დებულებები;
- საშტატო;
- სკოლის სტრუქტურა.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან, თანამშრომლებთან ურთიერთობის ძირითადი დოკუმენტები: შინაგანაწესი, სკოლის წესდება, ხელშეკრულებები, სადაც არის ძირითადი ნორმები გაწერილი. ადამიანური რესურსების

მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება როგორც მასწავლებლებს, ასევე ნებისმიერ სხვა დასაქმებულ პირს (ადმინისტრაციის წევრებს, ტექნიკური პერსონალს), რომელთა კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება იმ შრომითი ხელშეკრეულების საფუძველზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აქვს სკოლას გაფორმებული მათთან. ასევე სკოლას შექმინი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა რომელშიც ასახულია: ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, სამუშაო აღწერილობა, კადრების მოზიდვა და შერჩევა, კონკურსის გამოცხადება, კონკურსის ეტაპები, კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, რომლის მუხლი 19. შესრულებული სამუშაოს შეფასება ცხადყოფს, რომ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისას დაწესებულება ახდენს სხვადასხვა პოზიციის პერსონალის საქმიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. რის საფუძველზე ხდება პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირება სკოლის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში.

ასევე აღნიშნულ დოკუმენტში (მუხლი 20.) დეტალურადაა აღწერილი თუ როგორ უნდა განხორციელდეს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის სკოლა იღებს ვალდებულებას მოახდინოს ადამიანური რესურსის საჭიროების დროული ანალიზი. სკოლაში მიმდინარე მართვისა და ოპერაციული პროცესების გამართული ფუნქციონირებისათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობებში გაწერილია ურთიერთჩანაცვლების საკითხები, რათა საჭიროების შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მიზნობრივად იქნას განხორციელებული ფუნქციების დელეგირება სხვაზე იმგვარად, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე მართვისა თუ ოპერაციული პროცესები. პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებების მიხედვით. თითოეულისთვის ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შიდა ასევე ღია გამოცხადებული კონკურსის გზით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკურსის გამოცხადების ნიმუში (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის **მუხლი 12. კონკურსის გამოცხადება**). კონკურსის ეტაპებია:

1.1. კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

1.2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;

1.3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის შერჩევის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების შერჩევის ობიექტურობასა და გამჭირვალობას, **პერსონალის პირადი საქმეებში ინახება ყველა ცნობა** კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ხოლო შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისია აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნებთან. **სკოლას ჰყავს: 18 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებელი, ასევე** საქმის მწარმოებელი, სპეციალური პედაგოგი, ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი (ორი დარაჯი და ორი დამლაგებელი), ბიბლიოთეკარი. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და შესაბამისია ინდიკატორთან.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. სასკოლო საზოგადოების მუშაობა ეფუძნება გუნდურობას და მონაწილეობის კულტურას, არსებული პრობლემის მოგვარება ხდება გუნდურად, მაგალითად, სასკოლო კურიკულუმზე საგნობრივი კათედრები მუშაობენ ერთობლივად, უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ქმნიან ახალ დოკუმენტს. გამოკითხვებისა თუ შეხვედრებზე მიღებული ზეპირი კომენტარების საშუალებით, სასკოლო საქმიანობაში ჩართულობის პასუხისმგებლობას იზიარებს გუნდის თითოეული წევრი, მათი პასუხიმგებლობები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში ასევე დებულებებში. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა კათედრებისა თუ სკოლის დირექციის წევრებისგან. სკოლაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გამოცდილების გაზიარება ხდება: გაკვეთილებზე ერთმანეთთან დასწრების, უკუავშირის, ერთობლივი პროექტებისა თუ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების გზით. ასევე სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია წახალისებისა და აღიარების საკითხები, მნიშვნელოვანია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესებში მასწავლებელთა თუ დირექციის ჩართულობა. ინფორმაცია სკოლის წარმატებების, თანამშრომლების წარმატების, მათი მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- განათლების მართვის სისტემის მონაცემთა ბაზა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;

- შინაგანაწესი;
- სამეურვეოს ოქმი N5 შინაგანაწესის დამტკიცების;
- პერსონალის სოციალიზაცია სკოლაში;
- ბრძანება 02-28 პერსონალის სოციალიზაცია;
- მოსწავლეთა ადაპტაცია სკოლაში;
- ბრძანება 02-10 მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- ადამინური რესურსების მართვა;
- ბრძანება 02-16 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის გარკვეული საკითხები. შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიერ შემუშავებული დაკვირვებისა და უკუკავშირის ფორმები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

უპირველესად სკოლა დაკვირვებით, ურთიერთდასწრებით და გასაუბრებით ადგენს პერსონალის საჭიროებას, ამის შემდეგ, განვითარების გეგმის შესაბამისად ხდება პერსონალის განვითარება. მიზნის მიღწევის საშუალებებად სკოლა განიხილავს, როგორც სკოლის შიდა პროფესიული განვითარების საშუალებების გამოყენებას (ურთიერთდასწრება, დასწრება, გამოცდილების გაზიარება მიზნობრივ ჯგუფებში, კრიტიკული მეგობარი და ა.შ.) ასევე, მასწავლებლის სახლისა და სხვადასხვა ქართული თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნები, რომლის ფარგლებშიც სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პერსონალს, მისი როგორც პროფესიული განვითარების ასევე კარიერული ზრდის მიმართულებას. რაც ბუნებრივია სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. სკოლას ჰყავს 18 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებელი.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია ადაპტაციისა და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი, რომელშიც ჩართულია როგორც დირექცია ასევე კათედრები. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და

ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ პროექტებში, რასთანაც დაკავშირებულია პერსონალის ინიციატივები და მათი ჩართულობა პროექტებში. სკოლის კათედრებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით კი გამოჩნდა მიგნება სკოლის დირექიის მხრიდან, მათი მხარდაჭერა თუ წახალისება სხვადასახვა დროს.

დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. წახალისების სახეებია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- შინაგანაწესი;
- სამეურვეოს ოქმიN5 შინაგანაწესის დამტკიცების;
- პერსონალის ადაპტაცია სკოლაში;
- ბრძანება 02-28 პერსონალის სოციალიზაცია;
- 02-16 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფა სკოლაში;
- ბრძანება 02-29 ხარისხის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (03.04.2025 წლის ბრძანება - N 02-29 ხარისხის მარის პოლიტიკა). პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი: ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებები, დაწესებულების ფუნქციონირების გარე და შედა შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა და შეფასება, მატერიალური რესურსების შეფასების პროცესებისა და წესების შემუშავება, დანერგვა და გაუმჯობესება. ხარისხის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. წარმოდგენილია 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მიზნით - შიდა კონტროლის განხორციელების მექანიზმები. ყოველივე ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ეხმარება სკოლას სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებაში, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით (ადმინისტრაცია, არჩეული სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და კათედრები), ძირითად (დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები), ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა სკოლის მიერ ხდება სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში. აღნიშნულ პროცესებში ნათლად იკითხება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების განხორციელების შესაბამისი აქტივობები, რაც ასევე დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მიმართულების შესაბამისი დაგეგმვისა და განხორციელების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას გააჩნია გასაჩივრების მექანიზმები, რომლითაც თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ საშუალება გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. სკოლაში ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში, დაზარალებული მიმართვას დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც შედგება თანაბარი რაოდენობით მშობლის, მასწავლებლისა და მოსწავლისაგან. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები გამჭვირვალეა, გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. დამრიგებლები წლის დასაწყისში აცნობენ შინაგანაწესს მშობლებს, მოსწავლეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მასწავლებლების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, რომელსაც კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს. მშობლები და მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს შინაგანაწესთან დაკავშირებით. მომავალი სასწავლო წლისთვის ადმისტრაცია გეგმავს გავითვალისწინოს მათი სურვილები, წინადადებები დოკუმენტის შექმნისას. სკოლაში ფუნქციონირებს

მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კათედრების დებულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო საწავლო გეგმის დამტკიცება;
- შინაგანაწესის დამტკიცების სამეურვეოს ოქმიN5;
- კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება 02-18 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საჩივრის განხილვის წესი;
- ბრძანება 02-14 საჩივრის განხილვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დცვა;
- ბრძნება 02-21 პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას გააჩნია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (ESchool), ელექტრონული ფოსტა outlook ასევე სკოლა, ელექტრონულ ჟურნალს (onlineschool.emis.ge) განიხილავს, როგროც მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიღების საშუალებად. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც მუშაობს გამართულად და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს ინფორმაციის მიღების საშუალება. სკოლას ასევე გააჩნია სოციალური ქსელი რაც მიმოწერის და კომუნიკაციის უფრო ეფექტურ და მარტივ საშუალებად მიიჩნევა. სოციალური ქსელი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების საშუალებას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები: დირექტორი, საქმისმწარმოებელი, სპეციალური მასწავლებელი, დამრიგებლები, კათედრები, ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი, ბიბლიოთეკარი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში, ასევე სტრუქუტაში გამოყოფილად ჩანს ისეთი ერთეულები როგორიცაა: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში წარმოდგენლია ყველა კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში თუ სკოლის მართვის პროცესებში ჩართულობა.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებ გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;

- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- კათედრის დებულება.
- სამეურვეოს ოქმიN5 2024-25 სასწ. წლის დაწყების;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
- კლასის კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

პროექტში ტექტი რაც ფიქსირდებო არ უნდა წაიშალოს, უნდა დაემატორს მზოლოსდ არგუმენტირებულით წარმოდგენილი საკითხები. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, მშობელბის/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლას საშტატო განრიგით დარაჯის

შტატზე დასაქმებული ყავს 2 თანამშრომელი. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია - 24 ვიდეო სათვალთვალო კამერა (სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 19 კამერა, ხოლო გარე ტერიტორიაზე კი - 5 კამერა), რომელიც 24 საათის განმავლობაში აკეთებს ჩანაწერს და ინახავს ერთი თვის განმავლობაში. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციები. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გააგზავნა უფლებამოსილ ორგანოსთან „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა"-ის შესამუშავებელი და შესათანხმებელი წერილი (10/06/2025 – MES 0 25 0000644969). შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლას ქონდა გაგზავნილი წერილი (06/06/2025 - MES 3 25 0000634954). სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით (სართულებზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. შენობის ჭერზე დამონტაჟებულია კვამლის და სითბოს დეტეკტორები).

**სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ასახა, რომ უნდა წარმოადგინოს:** შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

**სკოლას მიეცა რეკომენდაცია რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოგდენილი უნდა იქნეს 19.05.2026 წლამდე. სკოლას ასევე მიეცა რჩევა რათა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

**მეტწილად შეესაბამება.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

კოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი რძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად. სკოლაში კონკურსისი წესით დასაქმებულია ექთანი, მის ხელშეკრულებაში ასახულია შესასრულებელი სამუშაოს სახეები, შესასრულებელი ფუნქციები, ასევე დირექტორის ბრძანებით დამკტიცებულია ექთნის დებულება (2025.03.21 N02/22). სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დავათვალიერდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, სრულად აღჭურვილია. ექთანი მონაწილეობას იღებს სკოლის სანიტარულ- ჰიგიენურ ზედამხედველობაში, მოსწავლეთ ჯანმრთელობითი განათლების და პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“. სკოლას შიდა რეგულაციებით დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი“, ასევე წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„უსაფრთხოების დაცვის პოილიტკა“,** რითაც რეგულირდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ზომებს. ასევე, 2025 წლის 13 მარტის N1/კ - 05 ბრძანებით დამტკიცებული ყავს მრჩეველთა საბჭო.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, გამოყოფილი აქვს შესაბამისი ოთახი რომლიც აღყუჭურვილია რბილი ავეჯით, სხვა ინვენტარის მიღებას სკოლა ელოდება უახლოეს პეროდში. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აქტივობები იგეგმება იმგვარად რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლამ წარმოედგინა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსრუქცია

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა ზრუნავს უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის არის აუცილებელი. სკოლას გააჩნია სველი წერტილები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი საშუალებებით. სკოლა პერიოდულად იძენს სანიტ-ჰიგიენურ ინვენტარებს, **ყავს ორი დამლაგებელი,** რომლებიც მუდმივად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, პერსონალის პერსონალურ ინფორმაციას. ინფორმაცია თითოეულ მათგანზე გაიცემა კონკრეტული პირის ნებართვით. მათი მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად და ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული პიროვნების ნებართვით. სკოლის თანამშრომლებისგან, 16 წელამდე მოსწავლის მშობლებისგან და 17-18 წელს მიღწეულ მოსწავლეებთან სკოლას მოპოვებული აქვს თანხმობის განაცხადი, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. სკოლაში მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ხდება მხოლოდ მშობლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.** სკოლას ჰყავს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც განსაზღვრულია რესურსცენტრის მიერ.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ ინფორმაცია. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სსისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის.

ქსელების დაცვას ვირუსული შემოტევისაგან და ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დაცვას ახორციელებს ინტერნეტ სკაიტელი. რომელიც აგრეთვე უზრუნველყობს სუბიექტის მონაცემების დაცვას. ასევე სკოლას ჰყავს IT სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტქსელების პროგრამულ და ტექნიკურ გამართულობას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს მუდმივი მონიტორინგის განხორციელებით, რათა მიმდინარე პროცესები წარიმართოს შეუფერხებლად და ეფექტურად. სკოლაში დირექტორის მიერ დელეგირებულია უფლებამოსილებები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირზე, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში, უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, მონიტორინგს უწევენ როგორც სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლაში მიმდინარე ადმინისტრაციულ თუ სხვა საკითხებს.

სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს მუდმივი მონიტორინგის განხორციელებით, რათა მიმდინარე პროცესები წარიმართოს შეუფერხებლად. მათ კოორდინაციას უწევს სკოლის ექიმი.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ექთნის დებულების დამტკიცების ბრძანება 2025.03.21 N02/22;
- მიწერილობები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები;
- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერით **(ძველი ამონაწერი 13/03/2025, საკადასტრო კოდი: N 39.04.25.007)**, სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრესილის საჯარო სკოლა (ს/კ 219634769) ფუნქციონირებს ქ. ტყიბული, სოფელ ხრესელში განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. დაზუსტებული ფართობია 20401.00 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 10697.00 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლა ფუნქციონირებს ორ ორსართულიან სასწავლო კორპუსში. N1 ორსართულიან შენობაში 12 საკლასო ოთახია და განკუთვნილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტი (რომელიც ჯერ არ არის აღჭურვილი). ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა (ნაწილობრივ მოწყობილია), რესურსოთახი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი რომელსაც **იყენებს უსფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,** სველი წერტილები-ბიჭების, გოგნებისთვის, პერსონალისთვის და სსსმ პირისთვის. სააქტო დარბაზად იყენებენ მეორე სართულზე არსებულ ფოიეს. N2 შენობაში განთავსებულია საქვაბე. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, შემოსაზღვრული ეზო, სადაც მოწყობილია სპორტული მოედანი.

სკოლა ვიზუალური დათვალიერებით იდეალურადაა კეთილმოწყობილი. საკლასო ოთახები დიდი და ნათელია, აქვს ისტის კაბინეტი, სადაც გათავსებულია პერსონალური კომპუტერები და ლეპტოპები რომლებიც განათლების მართვის საინფორმაიო ცენტრის ქსელში ჩართულია.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფით. სკოლის ბალანსზეა 80 მერხი და სკამი. კომპიუტერი-10, ლეპტოპი-1, პროექტორი-2, პრინტერი-3. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ვინაიდან სკოლის ბალანსზე არსებული ძველი, ამორტიზებულული შენოების დემონატაჟი განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად, ვერ ხერხდება ნახაზის განახლება და რეაბილიტაციის შემდგომი ქონების რეესტრში გატარება. აღნიშნულიდა გამომდინარე სკოლა ვერ ახერხებს ამონაწერის განახლებას. **სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ასახა, რომ 19.05.2026 წლამდე უნდა მოიპოვოს საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი.**

**მეტწილად შეესაბამება.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო გარემოს სწორი მოწყობა უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო აკადემიურ სივრცეს. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის სივრცეები: სკოლის ეზო შემოსაზღვრულია. სპორტ დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო (მოსაწყობია) და კომპიუტერული ლაბორატორია (მოსაწყობია), რესურს ოთახი (მოსაწყობია) - ეს ყველა საერთო სარგებლობისაა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ადაპტირებული საპირფარეშო განთავსებულია პირველ სართულზე. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია. სკოლას შემუშავეული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურსოთახის და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები. **ვიზიტის პერიოდში,** მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში **დამატებულ იქნა საბუნებიმეტყველო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია) სარგებლობის წესი.**

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში არსებული ბიბლიოთეკის ოთახში ჯერ არ არის განთავსებული ავეჯი, სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის დებულება რომლის მიხედვით მიმდინარეობს საბიბლიოთეკო მომსახურება. სამომავლოდ იგეგმება საბიბლიოთეკო ფონდის განახლება და გაციფრულება. სკოლამ უნდა აღჭურვოს ბიბლიოთეკა ინვენტარით, სასკოლო და მხატვრული ლიტერატურით.

**სკოლას მიეცა რჩევა აღჭურვოს ბიბლიოთეკა ინვენტარით, სასკოლო და მხატვრული ლიტერატურით.**

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული დარბაზითა, სამკითხველო სივრცე განთავსედება ბიბლიოთეკაში. ფოიე სააქტო დარბაზიათვის, სასკოლო ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას; უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად ახლდება. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას კომფორტული სასწავლო გარემო და უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობა. სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო, რათა დაცული იყოს შშმ პირთა ინტერესები. შენობის შემოსასვლელში არის პანდუსი და ლიფტი. შენობაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ლაბორატორიები) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის.

**რჩევა:** სკოლამ მრავალფეროვანი რესურსით აღჭურვოს რესურს ოთახი

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად აქვს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, თუმცა წიგნები განთავსებულია დროებით საცავში (ვინაიდან ავეჯი სამისტროს ჯერ არ მოუწოდებია). სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობით წესი, რომელიც გაცნობილია მოსწავლეებისათვის დამრიგებლების მიერ. სკოლას ასევე გააჩნია კურიკულუმით გათვალისწინებული საჭირო რესურსები (კომპიუტერული ლაბორატორიაში შესატანია შესაბამისი ინტერნეტარი, ნათელი და ფართო დერეფნები, სივრცე სააქტო დარბაზისათვის, სპორტული მოედანი, გარე ხელოვნურსაფარიანი მოედანი და სხვა სასწავლო რესურსი). სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბიბლიოთეკის დებულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მატერიალრი რესურსის ფლობის მასალები;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი;
- ბრძანება 02-06 ბიბლიოთეკარის დებულება;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობა;
- ბრძანება 02-09 მატერიალური რესურსებით სარგებლობა;
- ექთნის უფლება მოვალეობა;
- ინვენტარის მოთხოვნის წერილი;
- წიგნადი ფონდის აღრიცხვის ჟურნალი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა: 10 პერსონალური კომპიუტერი; 1 ლეპტოპი; 2 პროექტორი; 3 ქსეროქსი/პრინტერი. აღნიშნული ინვენტარი განლაგებულია შესაბამის ლოკაციაზე (დირექცია, კანცელარია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა). კომპიუტერულ ლაბორატორიაში განლაგებულია 3 პერსონალური კომპიუტერი **(ავეჯის მოწოდების შემთვევაში განთავსდება დამატებით 7),** მთელს შენობაში გამართული აქვთ WiFi სიტემა. სკოლის თითოეული თანამშრომელს, მოსწავლეს შეზღუდვის გარეშე აღნიშნულ ლოკაციებზე შეუძლიათ ისარგებლონ ტექნიკით. ლაგორატორიაშ არსებული კომპიუტერები ჩართული არის განათლების მართვის საინფორმაციო ქსელის ინტერნეტში, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, ლაბორატორიას ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღრიცხავს საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიიდან გატანილი კომპიუტერების რაოდენობას და შემდგომ იბარებს მას. მასწავლებელები გაკვეთილებს ატარებენ კომპიუტერულ ლაბორატორიაში საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლამ წარმოადგინა **კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.**

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო მენეჯერის ხელშეკრულება;
- დირექტორის ანგარიში;
- Wi-Fi-ის აპარატების მიღება-ჩაბარება.
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარება;

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის როგორც შიდა ასევე გარე დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის eflow საშუალებით. მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესები და ინსტრუქციები. ამ პროცედურისთვის სკოლას აქვს საქმისწარმოების დამტკიცებული წესი. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის (eflow, eschool, mes.gov.ge). დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365, Teams. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: khresili@mes.gov.ge

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eschool), სადაც განთავსებულია ინფორმაცია როგორც მოსწავლეებზე და მშობლებზე, ასევე მასწავლებლებზე და სკოლის პერსონალზე. კლასის დამრიგებლებს აქვთ წვდომა, თავისი პირადი პროფესიული პორტფოლიოსთან და ასევე სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების პირად ინფორმაციასთან და ვალდებული არიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები მათ პირად მონაცემებში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის არსებობს ანგარიშგების მიწოდების განსაზღვრული პროცედურები, რომელსაც სკოლა ითვალისწინებს და დროულად აწვდის ანგარიშებს (მაგ. დირექტორის მიერ 10 დეკემბრამდე წარსადგენი ანგარიში) და სხვადასხვა სახის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოებისა და არქივის წარმოების წესები და ინსტრუქციები.
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- Eflow;
- eSchool.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის ვებგვერდი მუშაობს გამართულად, მასზე განთავსებულია კანომდებლობით მოთხოვნლი ყველა ინფორმაცია, პერიოდულად ხორცირლდება ინფორმაციის განახლება. ასევე სკოლას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი, სადაც ზიარდება ყველა

საჭირო და ახალი ინფორმაცია, აქვეა განთავსებული ინფორმაცია ჩატარებულ ღონისძიებებზე. იტვირთება ფოტო და ვიდეო მასალა, ყველა ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის ასევე მშობლებისათვის. სკოლის ფეისბუქ გვერდს ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სიახლის გაზიარებას სოციალურ ქსელში. სკოლა ასევე იყენებს მესენჯერ ჯგუფებს, თიმსის ჯგუფებს, სადაც კლასის დამრიგებლები განათავსებენ სხვადასხვა სიახლეს. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებსა თუ სხვადასხვა სიახლეებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი და სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც იხვეწება და თავსდება ინფორმაცია დაწესებულების საქმანობის შესახებ. ასევე, საკომუნიკაციოდ გამოიყენება დამრიგებლების მიერ შექმნილ შიდა ჯგუფები (ფეისბუქჯგუფები, სატელეფონო კომუნიკაცია).

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირის სკოლა ითვალისწინებს და საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებაში, მაგალითად, როდესაც სკოლა იღებს ინფორმაციას სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ პროგრამების შესახებ, ის აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას მასწავლებლებს ელექტრონული და ზეპირი სახით. სკოლა საკომუნიკაციო არხებიდან იყენებს ოფიციალური სოციალურ ქსელის გვერდს. სკოლა სხვადასხვა პროექტებისა თუ აქტივობის შეფასებისათვის ხშირად იყენებს მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. პერიოდულად ხორცირლდება ინფორმაციის განახლება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკოლო საწავლო გეგმა. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, ამჟამად ჰყავს 31 მოსწავლე და გათვლილი ვაუჩერული დაფინანსებით, რომლის ბიუჯეტი არის განსაზღვრული კონკეტული თანხა, რომლის 83%-ზე მეტი ხმარდება სახელფასო ფონდს, დანარჩენი კომუნალურ ხარჯებს. მინიმალურად ფინანსდება სკოლის რესურსებისა და ინფრასტრუქტურული ხარჯებისთვის. სკოლის ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე ხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის ბიუჯეტი, ფინანსურ საქმიანობას აწარმოებს ფაქტობრივი ბიუჯეტით, სადაც მუხლობრივად არის გაწერილი როგორც შემოსავალი ასევე ხარჯი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შვიწლიანი სტრატეგული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში. სკოლის ფინანსური რესურსი აისახება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ შეთანხმებული ბიუჯეტზე და წლიურ შესყიდვების გეგმებში. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური აქტით შედის ცვლილებები. ყოველი

წლის 10 დეკემბრისთვის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, სადაც გაწერილია სკოლის ფინანსური მართვის პოლიტიკა.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **ბიუჯეტი 2025;**
- **2025 წლის შესყიდვების გეგმა;**
- **ბრძანებები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანის განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. შინაგანაწესი ჩადებულია საქაღალდეში და განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები, მათთან ცალკე გაფორმებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთა**

მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი შინაგანაწესის გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. აღნიშნულ შინაგანაწესს იცნობს სკოლის ყველა თანამშრომელი. კანონით გათვალისწინებული უფლებების

დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე სადამრიგებლო პროგრამაში არის ვალდებულება  აღნიშნული დოკუმენტი გააცნოს სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე, როგორც მოსწავლეს, ასევე მშობელს. ასევე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბავშვთა უფლებების კოდექსი. 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას, ასევე, გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაციები, კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრების განსაზღვრა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ვადები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. მშობლებთან გაფორმებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ფორმაში მოცემულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- საჩივრის განხილვის წესი;
- დამრიგებლის თვითშეფასების კითხვარი;
- მშობლების კრების ოქმები;
- ისგ  ჯგუფის ბრძანებები;
- თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანხმობაზე.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებების შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი". ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, განათლების აღიარების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. შესაბამისად. მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMS-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. მშობლებთან მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები; პერიოდულად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვა და შეფასება; მიღებული დასკვნების მიხედვით ხდება ცვლილებები, შესაძლოა დადგეს მოსწავლის სტატუსის შეცვლის საკითხიც, რომელიც ხორციელდება ფსიქოსოციალური გუნდის დასკვნის საფუძველზე. დოკუმენტები ინახება როგორც სპეციალურ მასწავლებელთან, ასევე მოსწავლის პირად საქმეში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რომელიც დადგენილია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი"-თ, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა

სამართლებრივი აქტების შესაბამისად. შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დაცვის გზით ხდება მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. საჭიროების შემთხვევაში ხდება სოციალური მუშაკის ინფორმირება და ჩართვა და ამ გზებით ოჯახთან დაკავშირება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია ვებ გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაიგონ სიახლეები, გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და გახანგრძლივებული წრის სახით.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა აქტიურად მუშაობს ფეისბუქგვერდზე და ავრცელებს სიახლეებსა და მიმდინარე ღონისძიებებს, მშობლებთან ურთიერთობს ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა, გავრცელებული ინფორმაციები კი არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რასაც ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტები, ფოტოები, ვიდეოები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის ხდის მისაწვდომს არსებულ პროგრამებს, სერვისებს, აქტივობებსა და რესურსებს. სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეოს ოქმიN5 2024-25 სასწ. წლის დაწყების;
- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- საინფორმაციო დაფა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2.მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, კერძოდ, შექმნილია დოკუმენტი-„მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები, სადაც გაწერილია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, პირველი კლასის გარდა სხვა კლასში გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის პირობები. წესი, ასევე, განსაზღვრავს სადამრიგებლო პროგრამაში განსახორციელებელ აქტივობებს, რომლებიც უნდა განახორციელოს დამრიგებელმა, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს სასკოლო გარემოში ადაპტაცია.

მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, TEAMs-ის პლატფორმა, ელ-ჟურნალი. მშობლებთან მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები; პერიოდულად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვა და შეფასება; მიღებული დასკვნების მიხედვით ხდება ცვლილებები, შესაძლოა დადგეს მოსწავლის სტატუსის შეცვლის საკითხიც, რომელიც ხორციელდება ფსიქოსოციალური გუნდის დასკვნის საფუძველზე. დოკუმენტები ინახება როგორც სპეციალურ მასწავლებელთან, ასევე მოსწავლის პირად საქმეში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები მუდმივადა ანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ხელს უწყობს დირექციასთან ერთად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რათა უზრუნველყოს მოსწავლეების უფლებების დროული და ეფექტური დაცვა. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, გაცდენების შემთხვევაში, ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ, კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების და ვადების შესახებ ხდება მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის დროული ინფორმირება სატელეფონო საუბრების, TEAMs-ის პლატფორმის, სოციალურ გვერდზე შექმნილი ჯგუფების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა. სკოლა ცდილობს გამოხატოს მხარდაჭერა ინიცირებული აქტობების განხორციელებისთვის. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რათა, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლა 1996 წლიდან, ყოველწლიურად 14 დეკემბერს, მასშტაბურად აღნიშნავს აწ უკვე რეგიონალურ დონეზე, ხრესილობის სახალხო დღესასწაულს.

ამჟამად, სკოლა ახალრეაბილიტირებულია, ახალი გადმოსულები არიან აღნიშნულ კორპუსში და, შესაბამისად, ექსტრაკურიკულარული აქტივობები ვერ განახორციელეს მიმდინარე წელს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის მხარდამჭერი ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების

და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდას. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ყოველთვის წახალისებულია გასვლითი გაკვეთილები, ღონისძიებები, ექსკურსიები. სკოლა გეგმავს 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანას 2025-2026 სასწავლო წლისთვის, სადაც გაიწერება არაფორმალური განათლების ჩართვა სწავლა-სწავლების პროცესში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: სოციალური ქსელები, პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, ინდივიდუალური შეხვედრები, შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა აზრებს და ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. მშობელთა კრებებზეც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ მათი შვილებისთვის საინტერესო ინიციატივები.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ისგ გეგმები;
- ისგ ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეოს ოქმიN5 2024-25 სასწ. წლის დაწყების;
- ხარისხის ჯგუფი;
- სოცსივრცე: ხრესილობა.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს კადეტთა კორპუსთან. მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მათგან იღებენ ინფორმაციებს პროფესიების შესახებ. ეს მათ ხელს უწყობს თავიანთი მომავლის სწორად დაგეგმვაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით დამრიგებლები ატარებენ კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით დამამთავრებელ (მეცხრე და მეთორმეტე) კლასებში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, პერიოდულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთ, რომ სკოლა მზად არის მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობების გადახედვა, გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მომავალი სასწავლო წლისთვის გააფორმოს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმა;
- ბრძანება 02-26 პროფესიული ორიენტაციის წესი;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შექმნილია ისგ ჯგუფები, აქვს ადაპტირებული გარემო: პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში არის 2 სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც მუშაობს ერთი სპეციალური მასწავლებელი. მონიტორინგის მიზნით, სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, სადაც შედიან ისეთი პირები, რომლებიც არ არიან ისგ ჯგუფის წევრები. რესურს-ოთახში, რომელიც განლაგებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე. ოთახში არის რბილი ავეჯი, მაგიდა, სკამი, კომპიუტერი. ინდივიდუალურ კარადას სკოლა ელოდება მიმდინარე წელს სასკოლლო ინვენტართან ერთად.. მასწავლებლები სრულად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ისგ გეგმები;
- ისგ ოქმები;
- სსსმ მონიტორინგის ჯგუფი.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას წრეების სახით. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას სკოლა თავად არ უზრუნველყოფს, თუმცა სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო მომსახურეობით. აღნიშნული პროცესი რეგულირდება ტაბელების წარმოების მეშვეობით, სადაც მძღოლი, სკოლის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი შესრულებულ რეისს ადასტურებენ ხელმოწერით. ყოველი თვის ბოლოს, ტაბელი ეგზავნება მუნიციპალიტეტს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებითი და არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, თუმცა აქვს მზაობა და ყველა პირობა, მოსწავლისა და მისი მშობლის დაინტერესების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

.სკოლა ესგ-თი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურების გარდა სხვა დამატებით მომსახურებას, ამ ეტაპზე, არ სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლას აქვს მზაობა, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება არაფორმალური განათლების სახით, კერძოდ, სკოლა გეგმავს 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანას 2025-2026 სასწავლო წლისთვის, სადაც გაიწერება არაფორმალური განათლების ჩართვა სწავლა-სწავლების პროცესში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხრესილის სკოლის ტრანსპორტის ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# *ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. იგი გაწერილი და წარმოდგენილია 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში და ასევე, იკითხება სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.

დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. კათედრის მიერ შექმნილი მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედება, ასევე, გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმების მიხედვით განხორციელებელი სასწავლო აქტივობები, მოხდება მასწავლებელთა

მიერ საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად და სასწავლო პროცესში დასანერგად. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. სკოლა, მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესები, უშუალოდ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები და სხვა. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე ყველა მასწავლებლის ჩართულობით. მათ შეადგინეს ყველა კლასის ჩარჩო-კურიკულუმი, შეათანხმეს კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაობი, შეარჩიეს შეფასების ინსტრუმენტები. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები, რადგან საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, საგნობრივი მეთოდოლოგიასა და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია დასანერგი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის

თვითრეფლექსიას. კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით კათედრას აქვს მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე მათი ინტერესების გათვალისწინების გამოცდილება, რაც „მშობლის ბარათის“ გამოყენების პრაქტიკით დასტურდება.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სკოლის მასწავლებლები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიურონ მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამების ნიმუშები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, როგორც ჩანს, სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება და დაგზავნილი კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ასევე იკითხება მშობელთა კრების ოქმებში, მასწავლებელთა მიერ მშობელთა კრებებზე დეტალურად მიწოდებული ინფორმაცია საგნის კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;

- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- ვერიფიკაციის წესი;
- შემაჯამებელი წერები.

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემუშავებულ კურიკულუმებში მასწავლებლების მიერ გაწერილი აქტივობები ორიენტრიებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება კათედრის წევრებს შორის მოსაზრებების გაზიარება, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გამოყენება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია კი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.<br><br>რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის ყველა კურიკულუმში გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, წინარე ცოდნას, შესაძლებლობებს და ამაზე დაყრდნობით ქმნიან კურიკულუმს. |
| უცხოური ენები | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების |

| | |
|---|---|
| | (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. |
| ესთეტიკური აღზრდა | მოცემული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწვლეზე ორიენრირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითრების საშუალებას. დავალებები იმდაგვარადაა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც საფეხურზე შეირჩა მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია დაწყებით კლასებში ყოველი თემის ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| მათემატიკა | მოწოდებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ესგ მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი და ასახავს იმ ძირითად თემებს რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში უნდა შეისწავლოს მოსწავლეებმა. |
| სპორტი | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზას და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა– პროექტი "საქართველოს რეგიონები"; ქართული–ამბის შეთხზვა, წერილის მიწერა; პერსონაჟის სკამი; მე და საზოგადოება– სასკოლო კონსტიტუციის შექმნა; ბუნებისმეტყველება – დაკვირვება, პროექტი ცოცხალ ორგანიზმებზე), პროექტები (ჯანსაღი კვება), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას.<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებს დაემატოს მეტი ისეთი შემოქმედებითი დავალება და რესურსი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს სიღრმისეულად გააანალიზონ საგნობრივი საკითხები, მიიღონ ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოცდილების გზით. |

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და კურიკულუმის შესაბამისად. მუშაობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. დაგეგმილი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა და შინაარსი განხილულია საგნობრივი კათერის მიერ. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება შემოქმედებითი დავალებები, პროექტული სწავლება და დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. |
| უცხოური ენები | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კმაყოფილებას. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას.<br><br>**რჩევა** -უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ყველა თემის ფარგლებში ურთიერთდაკავშირებულად დამუშავდეს ყველა სასწავლო მიზანი (საფეხურის შედეგი და სამიზნე ცნება). |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მოცემული დავალებები მოსწავლისგან მოითხოვს თანმშრომლობას კლასელებთან და მასწავლებეთან ასევე პროდუქტის შექმნისას საჭიროებს იაზროვნოს კრიტიკულად და შემოქმედებითად. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. კათედრაზე სახელმწიფო ენის მასწავლებლების მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. ამის მაგალითია დაწყებით კლასებში ყოველი თემის ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| მათემატიკა | კურიკულუმებში გაწერილია ესგ შესაბამისად ყველა სამიზნე ცნება, ასევე თემები რომელიც უნდა იქნას სასწავლო წლის განმავლობაში დაძლეული. ასევე ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები, წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გადატანის საშუალებას იძლევა. |
| სპორტი | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. სადაც ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (გერმანული, რუსული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს; ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმებში მოცემული სასწავლო რესურსები იძევა სწავლის შედეგების მიღწევის საშულებას, მასში მოცემული ვიდეო თუ აუდიო მასალა არის მრავალფეროვანი და საინტერესო, რაც განაპირობებულია მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. რესურსებსა და კონტექსტმაგალითებში ასახულია პარალელური ტექსტები, ელექტრონული ბმულები: დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები და სქემები. კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად |

| | |
|---|---|
| | მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| მათემატიკა | კურიკულუმში წარმოდგენილია ის ძირითადი რესურსები რომლების საშუალებას მისცემს მასწავლებელს სასწავლო პროცესი გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მათი უფრო მეტი ჩართულობა უზრუნველყონ.<br><br>**რჩევა;** სასურველი იქნება ასევე, რომ გათვალისწინებული იქნას ისეთი რესურსები რომელიც უფრო დიფერენცირებულს გახდის სასწავლო პროცესს. |
| სპორტი | კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**რჩევა:** დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების კურიკულუმში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები.<br><br>კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები (მათემატიკა – ვიდეო რესურსები; ქართული – ბარათები, თამაშები), რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში.<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმებს დაემატოს მეტი თამაშის რესურსი. |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, შესაბამისად დაგეგმილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს სასწავლო პროცესშ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, მაგალითად სკოლას აქვს: ინკლუზიურ განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები კლასებ მიხედვით, ჰყავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ჯგუფები, საგაკვეთილო პროცესშ გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსები, რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი სსსმ მოსწავლეებისთვის. სკოლ ცდილობს დანერგოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცეს დროს გაითვალისწინოს ინკლუზიური ხედვის მიდგომები, სწავლის კონსტრუქტივისტულ მეთოდოლოგიის საფუძველზე, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის სხვადასხვა სტილის მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას. კათედრის მიერ წარმოდგენილია ი.ს.გ რომელიც, დიფერენცირებული სწავლების ერთ-ერთი მაგალითია. |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერინცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუაური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, როგორც შინაარსის, ასევე პროცესის დიფერენცირება. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპექსური დავალებები, ასევე მათი განხორცილების პროცესი. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია საგან მუსიკაში მოხდეს ინდ. გეგმებში მრავალფეროვანი რესურსების დამატება. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას: დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, გამოყენებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული დავალებები. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები თითოეულ მათგანზე დაკვირვებისა და მათი თავისებურებების შესწავლის შედეგად, გეგმავენ სასწავლო პროცესს, მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და ამ პირობების გათვალისწინებით. |
| მათემატიკა | სკოლას შემუშავებული აქვს ისგ გეგმები რომელიც საშუაქლებას იძლევა რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები იქნას აღწერილი, ამასთან კომპლექსური დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.<br><br>რჩევა; სასურველი იქნება სკოლაში ტესტები შემუშავდეს იმდაგვარად რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა მაქსიმალურად მოხდეს. |
| სპორტი | წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;<br><br>სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუაური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. კლასში არის მცირე რაოდენობის მოსწავლე, რაც საშუალებას იძლევა რეგულარულად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები იყენებენ მოდიფიცირებულ დავალებებს სასწავლო პროცესში.<br><br>**რჩევა:** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს დიაგნოსტიკური შეფასებების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების რეგულარულ გამოყენებას. |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია შემაჯამებელი წერის ნიშანი, საკლასო აქტივობებში ჩართულობა. ითვალისწინებენ საპრეზენტაციო უნარებს და მოსწავლის მიერ საკითხის გააზრებას სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.<br><br>***რჩევა:*** *სასურველია დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. მტკიცებულებად წარმოადგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის |

| | |
|---|---|
| | წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და შესაბამისი მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. |
| უცხოური ენები | კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში, ხოლო განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა წარმოადგენს მოსწავლეთა განვითარებისა და მათი მიღწევების შეფასებას. ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.<br><br>რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე კათედრამ შეფასების რუბრიკები დაამუშაოს იმდაგვარად, რომ მასში ჩანდეს ცნებების ინდიკატორების მნიშვნელობა. |
| სახელმწიფო ენა | მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები: საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის დაკვირვების სქემა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ დოკუმენტებში შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ მოთხოვნებს. |
| სპორტი | კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
*უცხოურ კათედრაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები:*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- ვერიფიკაციის წესი;

- შემაჯამებელი წერები;
- მოდიფიცირებული დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ჩართოს მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას დოკუმენტის სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს კურიკულუმის განხორციელების თითოეული ეტაპი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით, კვლევით დავალებებში, სასკოლო და სასწავლო პროექტებში. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა, რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი (სახელმძრვანელოები; ლიტერატურა, ელ. რესურსი), მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; ინტეგრირებული გაკვეთილი, პროექტი, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა. |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში კათედრას შეაქვს მასში ცვლილებები. წარმოდგენილია კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიც და მისი განხორციელების ეტაპები რაც საშუალებას იძლევა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული პროცესში. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | კათედრის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ენის კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია განხორციელებული კომპლექსური დავალებები. |
| მათემატიკა | როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა სასწავლო პროცესი წარმოადგენს კურიკულუმიში აღწერილ პროცესებს ამას მოწმობს განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებები. |
| სპორტი | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლება იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდ- გენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სადაც გაწერილი კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასები ფაზები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის განხორციელების თითოეული ეტაპი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას აქვს მექანიზმები და მიდგომები, მოერგოს ცვალებად გარემოსა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ მოთხოვნებს.
სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, კათედრას აქვს შესაძლებლობა და მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რათა მოახდინოს ადაპტაცია და შეიტანოს ცვლილებები. კათედრებზე შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მორგებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე. სასწავლო აქტივობები და მასალა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებს ქონდეთ არჩევანი და შესაძლებლობა გააუმჯობესონ საკუთარი უნარ-ჩვევები.
სკოლა დროულად ახდენს ცვლილებების შესახებ მშობლების და საზოგადოების ინფორმირებულობას.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა. საბუნებისმეტყველო საგნებში არჩეული აქვთ შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის მიერ შემოთავაზებული შედეგებსა და მათ შესაბამის ინდიკატორებთან.<br><br>***რჩევა:*** *სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების მინიმალური ზღვარი.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ რუბრიკა, მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, რადგან თვითონაც მონაწილეობენ შეფასების პროცესში. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. |
| უცხოური ენები | სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, |

| | |
|---|---|
| | ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი (ტესტი, შეფასების რუბრიკა). რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის. |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი იძლევა საშუალებას ვიფიქროთ რომ მოცემული შეფასების სისტემა არის, სანდო, ობიექტური და მრავალფეროვანი. |
| სახელმწიფო ენა | სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. საბაზო საფეხურის კათედრაზე შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| მათემატიკა | მოწოდებული შეფასების რუბრიკები არის თემის შესაბამისად შედგენილი მოცემულია შიგნით სამივე სამიზნე ცნება და მისგან გამომდინარე ინდიკატორები. |
| სპორტი | განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ორიექტური, სამართლიანი. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლისა და მშობლის ბარათები. |

## 4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც გაკვეთილზე დასწრებით, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებით განისაზღვრება. იგი ეფუძნება, სანდოობის, სამართლიანობის, ობიექტურობის პრინციპებს და მოიცავს პროცედურებს: სინამდვილის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა; შეფასების შემოწმების პროცედურა; სტანდარტის შედარება ფაქტებსა და რეალურ ვითარებასთან.

სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტი ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი''ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლის მიღწევების შეფასების წესს და მექანიზმს. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

**5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრის პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია Eflow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული მატერიალური სახის დოკუმენტაცია სკოლაში ინახება ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახის- სამი წლის ვადით.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლისა და მშობლის ბარათები;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- მოდიფიცირებული დავალებები;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- მოდიფიცირებული დავალებები.

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შერჩეულია კათედრის მიერ. რაც აჩვენებს მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის კარგ მაგალითს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ როგორც ძირითად რესურსს, გრუფირებული სახელმძღვანელოების სახით ასევე დამატებით რესურს, რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ შესაბამის საფეხურის მიზნებს. |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმში მოცემული როგორც ძირითადი რესურსი ასევე დამხმარე მასალა მოცემულია როგორც ვიდეო ასევე აუდიო სახით რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. ასე რომ, კურიკულუმებში |

| | |
|---|---|
| | ძირითად ტექსტებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსები მართლაც გამოიყენება სასწავლო პროცესში. |
| მათემატიკა | კურიკულუმში ძირითადად წარმოდგენილია სასწავლო ვიდეო ლინკები რომერიც არის მაღალი ხარისხის და რეკომენდირებული.<br><br>**რჩევა;** სასურველი იქნება რესურსების მრავარფეროვნებას მიექცეს ყურადღება. |
| სპორტი | კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები, წარმოდგენილია ძირითადი და ასევე დამატებითი მასალები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (მაგ. სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმში დასტურდება კათედრის პედაგოგების მიერ დამხმარე რესურსის შესაბამისობის განხილვის ფაქტი.<br><br>***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა და სკოლის დირექცია უზრუნველყოფს წლის განმავლობაში გამოყენებული მასალები წინასწარ იყოს შეფასებული და დამტკიცებული. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო რესურსებს. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გფრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. |
| სახელმწიფო ენა | დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სკოლა იყენებს ზეპირ შეთანხმებას კათედრის წევრებს შორის. სახელმწიფო ენის კათედრაზე თანხმდებიან, რომ რესურსი საგნობრივად და ეთიკურად მიზანშეწონილია. კათედრა თვითონ იღებს პასუხისმგებლობას, რომ შერჩეული რესურსი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, არის ასაკისათვის შესაფერისი, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მიკერძოებულ შინაარს და ითვალისწინებს მოსწავლის განვითარების დონესა და ინტერესებს.<br><br>**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად. |
| მათემატიკა | დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრაზე და შესაბამისად აისახება კურიკურუმში |
| სპორტი | დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში |
| ტექნოლოგიები | სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის სამუშაო შეხვედრაზე წლის დასაწყისში. |

### 3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო რესურსებით და მცირე ლაბორატორიული რესურსებით. კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის სკოლა იყენებს იმ მიზერულ რესურსს, რისი მოძიებაც შესაძლებელია შემორჩენილი რესურსებიდან და ყოფით პირობებში.<br><br>***რჩევა:*** *სასურველია, სკოლამ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (სულ: 150 მოსწავლე). წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლაში ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის მხოლოდ ფართი ინვენტარის გარეშე. თუმცა, სკოლას აქვს წერილობითი მიმართვა შესაბამის სტრუქტურებთან, ლაბორატორიის ინვენტარის შესაძენად თანხების გამოყოფაზე. გათვალისწინებულია, რომ სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი და არ გააჩნია ფინანსური სახსრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარის შესაძენად. სკოლის მიერ გაწერილი ვადები რეალისტურია და არ შეაფერხებს სწავლის შედეგების მიღწევას.*<br><br>რეკომენდაცია: საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის, სკოლამ უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის მატერიალური, კერძოდ ლაბორატორიული რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად ( 2026 წლის 30 აპრილამდე) |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეიკური კათესრის საგნები უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. |
| სახელმწიფო ენა | სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს.<br><br>სწავლის პროცესში შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა სკოლას შესაბამისი გარემო და ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო ენის საბაზო საფეხური მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, დოკუმენტური ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას. |
| მათემატიკა | კათედრაზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა რესურსების მობილიზება ისე რომ ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება იქნას გათვალისწინებული. |
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია ტანვარჯიშული ლეიბები, ტანვარჯიშული სკამი, ტანვარჯიშული კედლები, ჩოგბურთის მაგიდა, კალათბურთის ფარები, ბურთები და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელიც მითითებული კურიკულუმებში. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, აქვთ კომპიუტერების ოთახი შესბამისი აღწურვილობით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. |

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ყველა საგნობრივ კათდრას სამივე საფეხურზე ჰყავს  კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი.
**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებიდან გამოითხოვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ანალიზების ფორმებს, ხდება შეჯერება და გაანალიზება, ხოლო შემდეგ, მასწავლებელთა მიერ წარმოებული შუალედური მონიტორინგის შედეგების რევიზიით, ადგენენ ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები მეთოდოლოგიაში გაწერილ შედეგებს. თუ არ დაემთხვევა, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ასევე, კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, შესაბამისად, ხდება მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, რასაც ითვალისწინებენ შემდგომი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აკვირდებიან კურიკულუმის განვითარებას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს: აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პროცესს. მონაცემების გაანალიზებისას პასუხობენ შეკითხვებს - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. მონაცემთა ანალიზი იძლევა პრობლემის გადაჭრის გზასა და საშუალებას. მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ,, სვოტ ანალიზს'', რა იყო ძლიერი და სუსტი მხარე, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებულიშესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ კათედრის თითიეული წევრი კათედრის თავჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, შესაბამისად რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე.

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეფასებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.
შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მასწავლებელთა ურთიერთდასწრებები, ანალიზის ფორმები, მოსწავლეების მიღწევები, მშობლების, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირები, შემაჯამებელი დავალებები, რამდენად იყო შესაძლებელი აღნიშნული დავალებით მასწავლებელი გასულიყო გრძელვადიან მიზანზე. ურთიერთდასწრებები მთლიანად დაფუძნებულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. კათედრის წევრი მასწავლებლები სამუშაო შეხვედრებზე ერთად გეგმავენ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებს. მასწავლებლები მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ, იღებენ კონსტრუქტიულ უკუკავშირს და ერთობლივად მუშაობენ ხარვეზების გამოსწორებაზე. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს,

გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის შემდეგაც, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის გადახედვა, ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას, ობიექტურობას და ეროვნული გეგმის შესაბამისობას.
**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მოიყვანეს საინტერესო მაგალითები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში კორიკულუმის ჩარჩოს ნაწილშიც აისახება.
**შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება სასწავლო სასკოლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რა წყაროებით ხდება დანერგვის შესახებ, პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი შეფასებას კონკრეტული მიზნით (შედეგების დიაგოსტირება, ანდა შედეგების გაუმჯობესება) გამოიყენებენ და შეფასების დაგეგმვისას იხელმძღვანელებენ სასწავლო სასკოლო გეგმის მიხედვით. შეფასების ვალიდურობისა და გამჭირვალობის მისაღებად ისინი ყველაზე ხშირად იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს, პირდაპირ შეხვედრებს, უკუკავშირს და სხვა. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიასა და კვლებისათვის საჭირო სხვადასხვა რესურსებს, რომლებიც მათი ხელითაა შექმნილი.
**შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს

ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| | | |
|---|---|---|
| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს საჭიროების შეფასება მონაცემების შეგროვების, სისტემური ანალიზის გზით.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინა ვერსიის დანერგვისა და გამოყენების პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მოიცავს როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა რეალურ უკუკავშირს. მისი განვითარება ეფუძნება სკოლებში კურიკულუმის პრაქტიკული განხორციელების დროს გამოვლენილ გამოწვევებს, წარმატებებსა და საჭიროებებს. გადამუშავების პროცესში მოიაზრება მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს კათედრის მასწავლებლებს, გამოავლინონ კონკრეტული მიმართულებები, რომელთა გაუმჯობესებაც საჭიროა.

**შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი **16/07/2025**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: